585
1980/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

67

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (474)

1980 წლის ივნისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (474) ივნისი 1980 წელი

## შინაარსი

### განყოფილება მეორე

195 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. უ. შ. მაისურაძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

196. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

197. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

198. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ვ. ტრუნოვისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

199. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. შ. ბოჭორიშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

200. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

201. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

202. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ე. კევლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

203. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ნ. ლოლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

204. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ს. ქანდარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

205. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. მ. დანელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

206. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. პ. გუგუნავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

207. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ, ა. ნ. იმედაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

208. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. მ. მიქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

209. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ს. მოსიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

210. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. ა. ყიფიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

211. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ს. ხუციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

212. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

213. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. ოდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

214. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ტ. ოტირბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საინფორმაციო ცნობები

ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 195 ამხ. უ. შ. მაისურაძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულის გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ონის ელექტროქსელის მონტიორი უშანგი შაქროს ძე მაისურაძე დაჯილდოვდეს მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 27 ივნისი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 196 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით საგარეჯოს რაიონის სახელმწიფო სახანძრო ინსპექციის უფროსი ბეჟან ვახტანგის ძე მელაშვილი დაჯილდოვდეს მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 27 ივნისი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 197 თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მიერ 1980 წლის იანვარში ლონდონში წარმატებით ჩატარებულ გასტროლებთან დაკავშირებით, რომელსაც დიდი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, თეატრის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

ზარეცკის იური ალექსანდრეს ძეს — ქორეოგრაფს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სტურუას** რობერტ რობერტის ძეს — თეატრის დირექტორსა და მთავარ რეჟისორს.

**ყანჩაველს** გიორგი ალექსანდრეს ძეს — კომპოზიტორს, მუსიკალური ნაწილის გამგეს.

**ღაღანიძეს** ჯემალ ერმილეს ძეს — მსახიობს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“**

**ლოლიძეს** იოსებ გიორგის ძეს — მსახიობს.

**მახარაძეს** ავთანდილ ივანეს ძეს — მსახიობს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“:**

**შველიძეს** მირონ პავლეს ძეს — მხატვარს.

**„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“**

**აბუაშვილს** ლევან ზაქარიას ძეს — სცენის მუშას.

**გაბისიანს** ვლადიმერ გაბრიელის ძეს — რეჟისორის თანაშემწეს.

**მელიქსეტოვს** ივანე აბრამის ძეს — მხატვარ-დეკორატორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 4 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 198 ამხ. ი. ვ. ტრუნოვისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამსახურისათვის ოლქის სამხედრო-სავეტერინარო სამსახურისა და ძაღლების სამსახურის უფროსს, სავეტერინარო სამსახურის პოდპოლკოვნიკს იგორ ვასილის ძე **ტრუნოვს** მიენიჭოს **საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 4 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 199 ამხ. ბ. შ. ბოჭორიშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილეს ამხ. ბორის შალვას ძე **ბოჭორიშვილს** მიენიჭოს **საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 18 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 200 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, ქ. თბილისში უკანასკნელ ხანს გამართულ მასობრივ სახალხო დღესასწაულებში, იმ კულტურულ ღონისძიებათა მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის, რომლებიც მიმართულია დაძმობილებულ ქალაქებთან (ლუბლიანა, ნანტი, საარბრიუკენი) მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განსამტკიცებლად, მიენიჭოთ **საპატიო წოდება:**

**„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“**

**ბათიაშვილს** თამაზ ალექსის ძეს — საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმებიანი კვარტეტის მსახიობს.

**გონაშვილს** ჰამლეტ დიმიტრის ძეს — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალ-სოლისტს.

**ერქომაიშვილს** ანზორ დავითის ძეს — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ მხატვრულ ხელმძღვანელს.

**ვარდელს** კონსტანტინე პეტრეს ძეს — საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმებიანი კვარტეტის მსახიობს.

**ჟვანიას** ნოდარ არჩილის ძეს — საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმებიანი კვარტეტის მსახიობს.

**ჩუბინიშვილს** ოთარ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმებიანი კვარტეტის მსახიობს.

**„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“**

**ბასილაიას** ალექსანდრე ალექსანდრეს ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ივერიის“ მხატვრულ ხელმძღვანელს.

№6 ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნაცვლიშვილს** თეიმურაზ შალვას ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სატელევიზიო ფილმების შემოქმედებითი გაერთიანების სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეს.

**სანებლიძეს** თორნიკე ვლადიმერის ძეს — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

**ჭანიშვილს** ლაუზი (რეზო) რუბენის ძეს — ქ. ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთავარ ბალეტმაისტერს.

**ჭოხონელიძეს** რევაზ შოთას ძეს — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ მთავარ ქორეოგრაფს.

**ჭუბაბრიას** ლევან კონსტანტინეს ძეს — დრამატურგს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

**აბესაძეს** დავით ნოდარის ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ცისფერი ტრიოს“ მსახიობს.

**არაბაშვილს** გაიოზ ნიკოლოზის ძეს — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალ-სოლისტს.

**ბაღაშვილს** ჯემალ ბორისის ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ივერიის“ სოლისტს.

**გელაშვილს** ედიშერ ზაქარიას ძეს — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალ-სოლისტს.

**ვადაჭკორიას** სალვერ ობივერის ძეს — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალ-სოლისტს.

**თავართქილაძეს** მალხაზ მიხეილის ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ცისფერი ტრიოს“ მსახიობს.

**თორაძეს** ალექსანდრე დავითის ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

**კელაპტრიშვილს** ომარ მიხეილის ძეს — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ ინსტრუმენტული ჯგუფის ხელმძღვანელსა და სოლისტს.

**კობალაძეს** ლუიზა ვასილის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ივერიის“ სოლისტს.

**მუჯირს** გენო დიმიტრის ძეს — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალ-სოლისტს.

**ონაშვილს** ტარიელ კარლოს ძეს — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალ-სოლისტს.

**სეფერთელაძეს** თამაზ აკაკის ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ცისფერი ტრიოს“ მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ტატიშვილს** ვახტანგ გრიგოლის ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ივერიის სოლისტს.

**ქსოვრელს** გრიგოლ მაკარის ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობს.

**ყოლბაიას** ჯუმბერ ვლადიმერის ძეს — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალ-სოლისტს.

**წივწივაძეს** ვილგენ გიორგის ძეს — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალ-სოლისტს.

**წიკლაურს** თეიმურაზ ნერსესის ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ივერიის“ სოლისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 25 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 201 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

აფხაზეთის ასსრ ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის განვითარებაში დიდი წვლილისათვის, დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 4 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 202 ამხ. გ. ე. კევლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გ. მ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. გიორგი ევსევის ძე კევლიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 4 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 203 ამხ. თ. ნ. ლოლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი თეიმურაზ ნიკოლოზის ძე ლოლაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 4 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 204 ამხ. მ. ს. ქანდარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე ამხ. მერი სიმონის ასული ქანდარია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 4 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 205 ამხ. მ. მ. დანელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. მელიტონ მიხეილის ძე დანელია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 12 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 206 ამხ. ვ. პ. გუგუნავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ამხ. ვალერიან პლატონის ძე **გუგუნავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 18 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 207 ამხ. ა. ნ. იმედაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სასწავლებლებსა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. აბესალომ ნოეს ძე **იმედაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 18 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 208 ამხ. გ. მ. მიქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე ამხ. გიორგი მიხეილის ძე **მიქაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 18 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 209 ამხ. ს. ს. მოსიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ლექტორი ამხ. სევერიანე სოლომონის ძე **მოსიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 18 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 210 ამხ. ზ. ა. ყიფიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების ჯგუფის პუბლიკური სახლის კონსულტანტი ამხ. ზაირა ალექსანდრეს ასული **ყიფიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 18 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 211 ამხ. თ. ს. ხუციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის წერილების ჯგუფის უფროსი რეფერენტი ამხ. თამარ სოლომონის ასული **ხუციშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 18 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 212 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოებში აქტიური თანამშრომლობისათვის, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რესპუბლიკურ შეკრებასთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

**აბულაძე** ზაქარია ზექერიას ძე — პენსიონერი, ხულოს რაიონი.

**კუნჭულია** გურამ გრიგოლის ძე — ქ. მახარაძის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ავტოსკოლის უფროსის მოადგილე პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

**მაისურაძე** გიორგი ზაქარიას ძე — გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის საშუალო სკოლის პედაგოგი.

**მარკოზაშვილი** შალვა იროდიონის ძე — მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს საშუალო სკოლის პედაგოგი.

**ნიშნიანიძე** სულიკო პეტრეს ძე — ქუთაისის შუშის ტარის ქარხნის მუშა.

№ 6 ეროვნული ბიბლიოთეკა

**პაჭკორია** მამანტი ილარიონის ძე — ქ. ზუგდიდის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი.

**როსტიაშვილი** ტრიფონ ვახტანგის ძე — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

**საგარია** ბაჯგურ ესნატეს ძე — აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**ჩეხოევი** ვასილ სამსონის ძე — ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.

**ჩიტურაშვილი** ვასილ ესტატეს ძე — გორის რაიონის სოფელ ქვეშის სანერგე მეურნეობის მელიორატორი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 23 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 213 ამხ. ვ. ი. ოდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ვლადიმერ ისიდორეს ძე **ოდიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 24 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 214 ამხ. ა. ტ. ოტირბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ აფხაზეთის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ასლან ტამშუგის ძე **ოტირბა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 25 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1980 წლის 27 ივნისის სხდომაზე მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების მუდმივი კომისიის მოხსენება შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის თელავის რაიონის წინანდლის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ წინანდლის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა მოსახლეობის შრომითი მოწყობის საკითხებზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 29 მაისის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 27 ივლისის დადგენილებათა შესასრულებლად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია სოფლის მოსახლეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში დასაქმებისათვის.

სასოფლო საბჭოს აღმასკომთან შეიქმნა შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების სპეციალური შტაბი; სოფლის ტერიტორია დაიყო რამდენიმე სექტორად, რომლებშიც დეპუტატთა უშუალო მონაწილეობით შესწავლილ იქნა სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრები თითოეული ოჯახი, მისი ყველა წევრის ადგილსამყოფელი, განათლების ცენზი, სპეციალობა, შრომითი საქმიანობა, დასაქმების ხასიათი და შრომის პირობები.

სოფლის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დატოვა სოფელი და რაიონის სხვადასხვა საწარმოში მუშაობს. ამის გამო სერიოზული სიძნელეები შეიქმნა წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. სერიოზულმა ნაკლოვანებებმა შრომის ორგანიზაციის საქმეში, შრომის დაბალმა ანაზღაურებამ განაპირობა მუშახელის დიდი დენადობა, დისციპლინის დაბალი დონე და მეურნეობის ჩამორჩენა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. 1977-1979 წლებში მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 19,4 პროცენტით შემცირდა. 1979 წელს ვერ შესრულდა ყურძნის, მარცვლეულის, ხილის, ბოსტნეულის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. გასულ წელს მეურნეობაში საშუალო წლიური გამომუშავება 60 კაცდღეს შეადგენდა, საშუალო წლიური ხელფასი კი 350 მანეთსა და 51 კაპიკს

სასოფლო საბჭოს მიერ გაწეული ახსნა-განმარტებითი და ორგანიზატორული მუშაობის შედეგად საბჭოთა მეურნეობის საწარმოო საქმიანობაში ჩაება ადრე მხოლოდ პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებული და აგრეთვე სოფელთან კავშირგაწყვეტილი 100-ზე მეტი მოქალაქე. 60-ზე მეტმა პირმა, რომლებიც სოფელში ცხოვრობენ, მაგრამ სხვადასხვა საწარმოში მუშაობენ, მოსავლელად გაიპიროვნეს თითო ჰექტარი ვენახი. ამჟამად სოფლის შრომისუნარიან მცხოვრებთაგან თითქმის ყველა მონაწილეობს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

სასოფლო საბჭოს დავალებით მეურნეობის ხელმძღვანელობამ მიიღო საჭირო ზომები შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებისათვის; ჩატარდა ბრიგადებისა და აგროგანყოფილებების რეორგანიზაცია, გაძლიერდა კონტროლი

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შრომის კანონმდებლობის დაცვისა და სამუშაო დროის კალენდარული ფონდის სრულად გამოყენებაზე; დროის მოკლე მონაკვეთში შესამჩნევად გაიზარდა გამომუშავება და შრომის ანაზღაურება.

გაუმჯობესდა შესრულებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხი; უზრუნველყოფილია აგროტექნიკური პირობებისა და ვადების ზუსტი დაცვა: თითქმის შეწყდა მუშახელის დენადობა.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი სათანადო ყურადღებით მოეკიდა მიმდინარე სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შრომით მოწყობას, მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას. სოფლის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები უფრო აქტიურად უწყობენ ხელს მოსახლეობის შრომით აღზრდას, სოფლის წარმოება-დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას, შრომის მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, შემუშავებულია მეურნეობასა და საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ სხვა საწარმოებში კადრების დენადობის აღკვეთის, მომუშავეთათვის სათანადო საწარმოო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის ღონისძიებანი.

მიღებულია კონკრეტული ზომები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაფართოებისათვის, დამატებით სეზონური საბავშვო ბაღების გახსნისა და მოსახლეობის სამედიცინო, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ო. ვ. მელქაძის ინფორმაცია „პერმის ოლქში სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლის ორგანოების ურთიერთმოქმედების პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესაბამისად სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიებისა და ამ საბჭოებთან არსებული სახალხო კონტროლის კომიტეტების და ჯგუფების ურთიერთმოქმედების თაობაზე. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, ახორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების დადგენილებებს, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის დებულებათა, აგრეთვე „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ“ კანონის მოთხოვნებს, რომლებიც მიმართულია სახელმწიფო მმართველობის სრულყოფისა და სოციალისტური დემოკრატიის განმტკიცებისაკენ, სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეს.

ამასთან რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რიგი ადგილობრივი საბჭოები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სახალხო კონტროლის ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განოების და ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესებასა და მათი მუდმივ კომისიებთან ურთიერთმოქმედების საქმეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ“ კანონის, „პერმის ოლქში სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლის ორგანოების ურთიერთმოქმედების პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა და სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გააძლიერონ მომთხოვნელობა სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების საქმიანობისადმი სახელმწიფო და სახალხო კონტროლის შემდგომი სრულყოფის დარგში; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლის ჯგუფების მჭიდრო ურთიერთმოქმედებას, სრულყონ ერთობლივი შემოწმებების ჩატარების, შესაბამისი საბჭოების სესიებზე და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე მათი შედეგების განხილვის პრაქტიკა; ფართოდ გაავრცელონ მუშაობის დადებითი გამოცდილება; იზრუნონ საბჭოებთან არსებული კონტროლის ჯგუფებისათვის საჭირო სამუშაო პირობების შექმნისათვის;

— საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეიმუშაონ სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების), სადაბო და სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიებისა და კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეების და წევრთა ერთობლივი სწავლებისათვის სპეციალური თემატური გეგმა; დაუქვემდებარონ იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მოთხოვნებს, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, მის შრომებსა და გამოსვლებში მოცემული დებულებების შესრულების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრის ამოცანებს;

— საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მიიღოს ზომები ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებთან სახალხო კონტროლის ორგანოების ურთიერთმოქმედების შემდგომი გაძლიერებისათვის, ამასთან განაზოგადოს მათი საქმიანობის დადებითი გამოცდილება, სისტემატურად იზრუნოს მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის;

— რესპუბლიკის გაზეთებისა და ჟურნალების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის რედაქციებმა პერიოდულად გააშუქონ სახალხო დეპუტატთა

№ 6
ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლის ადგილობრივი ორგანოების ურთიერთმოქმედების და რესპუბლიკაში „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ" კანონის შესრულების საკითხები.

*

* *

პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე ინფორმაციები: ბუნების დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევების თაობაზე რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონსა და სამრეწველო ცენტრში, „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილების შესრულების მდგომარეობის თაობაზე ქ. ფოთსა და გორის რაიონში და სხვ.

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია სათანადო დადგენილება.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 27 ივნისის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის" მედლით დაჯილდოვდა 1626 კაცი:

| | | |
|---|---|---|
| თბილისის პირველი მაისის | რაიონიდან | 121 |
| „ კალინინის | რაიონიდან | 51 |
| „ საქარხნო | „ | 51 |
| ქ. ქუთაისის ავტოქარხნის | „ | 29 |
| ქალაქ ზუგდიდიდან | „ | 22 |
| ქალაქ რუსთავიდან | | 307 |
| ქალაქ ფოთიდან | | 38 |
| ამბროლაურის | რაიონიდან | 52 |
| ახალციხის | „ | 89 |
| ბოგდანოვკის | „ | 50 |
| ბოლნისის | „ | 20 |
| ბორჯომის | „ | 28 |
| გურჯაანის | „ | 61 |
| დუშეთის | „ | 28 |
| ზუგდიდის | „ | 136 |
| თიანეთის | „ | 34 |
| ლაგოდეხის | „ | 70 |
| ლენტეხის | „ | 23 |
| მესტიის | „ | 30 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| სამტრედიის | რაიონიდან | 70 |
| ქარელის | „ | 57 |
| ხხოროწყუს | „ | 52 |
| ცაგერის | „ | 94 |
| წალენჯიხის | „ | 45 |
| წალკის | „ | 15 |
| წულუკიძის | „ | 53 |

## ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 9 ივნისის ბრძანებულებით ბოგდანოვკის სადაბო საბჭოს გამოეყო სოფლები: დიდი ხანჩალი, პატარა ხანჩალი და კათნატუ და შეიქმნა დიდი ხანჩალის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ დიდ ხანჩალში.

დიდი ხანჩალის, პატარა ხანჩალის და კათნატუს სოფლებიდან სადაბო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდათ რწმუნებანი დიდი ხანჩალის სასოფლო საბჭოში.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 30 ივნისის ბრძანებულებით:

კრასნოგორსკის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს უდაბნოს დასახლება მიეკუთვნა სოფლების ჯგუფს და ეწოდა სოფელი უდაბნო.

სოფელი უდაბნო გამოეყო კრასნოგორსკის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს და შეიქმნა უდაბნოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ უდაბნოში.

16565

ბიბლიოთეკა